

ქარი და ბიზნესი



Woman and Business



გამოცემას აფინანსებს EED - ეკლესიების
განვითარების სამსახური (გერმანია)



Publication is financially supported by
EED (Germany)



ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები,
შესაძლოა არ ემთხვეოდეს EED-ის მოსაზრებებს

The views expressed in the bulletin does not
necessarily represent the views of EED



ს ა რ ჩ ე ბ ა C O N T E N T

სხვადასხვა	2	17	Various
შეფასების შედეგები ფონდის მომავალ საქმიანობას განსაზღვრავს	3	18	Results of Evaluation Defines Future Activites of Fund of Women Entrepre- neurs (FWE)
დროის გამოწვევას – თანადროული ინიციატივა	5	19	New Initiative in response to the modern challenges
პირველი ტრენინგი სოციალური მენარმეობის საკითხებზე	7	21	The first training on social entrepre- neurship
„ასეთი მეცადინეობები საჭირო და სასარგებლოა“	9	22	“These type of lessons are necessary and useful”
„ამ ტრენინგებმა მასწავლა, როგორ უნდა ვაწარმოო საკუთარი საქმე“	10	22	“The training taught me how to lead my own business”
„მოფუსფუსე ფუტყრები“-ს ენერგიული დიასახლისი	11	23	Active Housewife of “Fussy Bees”
„იმერლებს უყვართ აფხაზური აჯიკა“	12	24	“Imeretians like Abkhazian Ajika”
„ელეგანტი“ ელეგანტურ ნაქსოვებს გთავაზობთ	12	24	Elegantly Knitted Clothes from “Elegant”
„მენარმე ქალთა ფონდმა უდიდესი სტიმული მომცა“	13	25	“Fund of Women Entrepreneurs Gave me Great Stimulus”
ქალები მცირე ბიზნესში. მათი შესაძლებლობები, ხელშეწყობა	14	26	Women in Small Entrepreneurship: Their Capacities and Support
თქვენ გისმენთ იურისტი	16	28	Lawyer Listens to you...

29 ივნისს მენარმე ქალთა ფონდის მიერ ინიცირებული ტელედიკუსია გადაიცა ტელეკომპანია „მეგა TV“-ის ეთერით. თემაზე „ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის სტიმულირება“ ფონდის წარმომადგენლებთან ერთად მსჯელობდნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელი, წარმატებული მენარმე ქალები და ბიზნეს-ტრენინგის მონაწილენი.

დიკუსიის მონაწილეებმა მიმოიხილეს მენარმე ქალთა ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა და მიღწეული შედეგები, ისაუბრეს ქალთა მცირე ბიზნესის მნიშვნელობასა და განვითარების გზებზე.

ბიზნესის საფუძვლების საკითხები განიხილებოდა მენარმე ქალთა ფონდის მიერ ქუთაისში ჩატარებულ ტრენინგზე. ოთხდღიანი სწავლება დევნილი და ადგილობრივი ახალგაზრდა ქალბატონებისგან შემდგარი ინტეგრირებული ჯგუფისთვის მოეწყო. მსმენელებს თეორიული კურსის ათვისება და პრაქტიკული დავალებების შესრულება ევალებოდათ. ჯგუფური სამუშაოების დროს მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებლად შედგენილი სამაგალითო ბიზნეს-გეგმები, რომლებიც, ძირითადად, მომსახურების სფეროს ასახავდა. ერთ-ერთი კონსულტაციების შედეგად მონაწილეებმა საკონკურსო პროექტები კომისიას წარუდგინეს.

გამარჯვებული პროექტების ავტორებს სამუშაო ადგილების შექმნაში მენარმე ქალთა ფონდი დაეხმარა.

სოციალური მენარმეობის თემატიკისადმი მიძღვნილი წვრთნა მოეწყო 25 ივნისს მენარმე ქალთა ფონდის მიერ კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში.

სოციალური მენარმეობის ფორმების გამოყენება საწარმოს წარმატებული განვითარებისთვის, მენარმეობის სქემის დაგეგმვა – მიზანი, ხედვა და სტრატეგია, მარკეტინგი, SWOT ანალიზი, საწყისი ბიუჯეტი და შემოსავლების პროგნოზირება – ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებ მიენოდა კომპეტენტური ინფორმაცია ოთხდღიანი ტრენინგის მონაწილე 15 ქალბატონს.

მუშაობის პროცესში ოთხ ჯგუფად გადანაწილებულმა მსმენელებმა ერთი მიმართულების ოთხი პროექტი შეადგ-

ინეს, რომლებიც მანქანისა და ნადულის დამამზადებელი მინი-სოციალური საწარმოს გახსნა-ამუშავებას გულისხმობს კოპიტნარის დასახლებაში.

მენარმე ქალთა ფონდის მიერ განეული სამწლიანი საქმიანობა დადებითად შეფასდა. EED-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში შესრულებული მუშაობა 20 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით საერთაშორისო და ადგილობრივმა შემფასებლებმა – რაფ ლანგემ (გერმანია) და ნინო თვალთვაძემ (საქართველო) შესწავლეს.

მონიტორინგის შედეგები ერთგვარი სამოქმედო მანიშნებლის როლს შეასრულებს ფონდის ახალი საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში და სამომავლო საქმიანობის განსაზღვრაში.

მიმდინარე პროექტი 2011 წლის ბოლოს დასრულდება.

6 ივლისს ქალთა ფონდის ხელმძღვანელობა გრანტის მიმღებ ქალბატონებს შეხვდა. ფონდის წარმომადგენლებმა გამარჯვებული პროექტების ავტორებს წარმატება მიულოცეს და თავიანთი ბიზნესის განვითარება უსურვეს. ციცი ბენდელიანი აფხაზური აჯიკის წარმოებით დაკავდება, ქეთი გვაძბია – ქსოვის დიზაინით, დოდო ქარაძე კი სოფელ გვიშტიში საოჯახო მეურნეობის კუთხით – მეფუტკრეობით.

ორგანიზება გაენია მაისში ჩატარებული ბიზნეს-ტრენინგის გამარჯვებული პროექტების ავტორთა „სამუშაო ადგილების“ შექმნას. მენარმე ქალთა ფონდის თანამშრომლებმა მომავალ მენარმე ქალბატონებს მათი საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარი და საწყისი პროდუქცია შეუძინეს.

სოციალური ბიზნესის საკითხები განიხილეს და მენარმეობის ამ მიმართულებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე იმსჯელეს მენარმე ქალთა ფონდის წარმომადგენლებმა 14 ივლისს გამართულ საქმიან შეკრებაზე. ისინი აღნიშნული სფეროს დაფინანსების შესაძლებლობების, გადაწყვეტილების მიღების საკითხებსაც შეეხნენ.

19-23 ივლისს მენარმე ქალთა ფონ-

დმა ბიზნეს ტრენინგი მოაწყო ზესტა-ფონში მცხოვრებ დევნილ ქალბატონთათვის. პროექტით „ქალთა მენარმეობის ხელშეწყობა დასავლეთ საქართველოში“ გათვალისწინებული ხუთდღიანი სწავლება მცირე ბიზნესის განვითარების თემებს დაეთმო. მსმენელებს მიენოდათ კომპეტენტური ინფორმაცია ბიზნესის ორგანიზაციული მართვის, ბაზრის ანალიზის, მარკეტინგის საკითხებზე. განიხილეს ბიზნეს-გეგმების შემუშავების მეთოდიკა. კვალითის დასახლებაში ჩატარებული სემინარი, ტრადიციულად, ითვალისწინებს მომავალში სამუშაო ადგილების შექმნას გამარჯვებული პროექტების საფუძველზე.

მენარმე ქალთა ფონდში ბიზნეს-პროექტების შედგენის საკითხებზე კონსულტაციისგაგლიშმა მზია მუშუ-დიანმა წყალტუბოში მინი-სამკერვალო გახსნა. პროექტი ჩეხური ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ მიერ დაფინანსდა. მზია მომავალში სამკერვალო სკოლის გახსნასაც გეგმავს, სადაც როგორც ადგილობრივი, ასევე დევნილი მოსახლეობა დაეუფლება ჭრა-კერვის ოსტატობას.

მენარმე ქალთა ფონდის ინიციატივით კიდევ ერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა – აპრილის თვეში დაარსდა სპეციალური სკოლა საშუალო ასაკის ქალბატონთათვის. ოთხთვიანი სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული საქმისწარმოების და საქმიანი ეტიკეტის ნორმების შესწავლას ითვალისწინებს. კურსი 8 დევნილმა და ადგილობრივმა ქალბატონმა გაიარა. კურსდამთავრებულებს რეკომენდაციები გაენევათ სამუშაოზე მოსაწყობად.

21 ივლისს მენარმე ქალთა ფონდისა და ფონდ „სოხუმის“ ხელმძღვანელობა ჰუმანიტარული მისიით ეწვია ვანის რაიონის კურორტ „ამალღებაში“ მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს. პირველადი დახმარება სურსათის სახით გაენია ხანძრის შედეგად დაზარალებულ 12 ოჯახს, რომელნიც ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გარეშე აღმოჩნდნენ. ფონდის ოფისში გროვდება ტანსაცმელი და პირველადი მოხმარების ნივთები. ფონდის წარმომადგენლები პერიოდულად მიაწვდიან მათ დაზარალებულ ოჯახებს.

შეფასების შედეგები ფონდის მომავალ საქმიანობას განსაზღვრავს

ივნისის ბოლოს მენარმე ქალთა ფონდს საერთაშორისო დამკვირვებელი რაღფ ლანგე სტუმრობდა. ქართველ კოლეგასთან ნინო თვალთვაძესთან ერთად საქმიანი ვიზიტით მყოფმა გერმანელმა სტუმარმა შეაფასა ფონდის მიერ განეული სამწლიანი საქმიანობა, რომელიც EED-ის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტის ფარგლებში.

პროექტის დანიშნულებასა და ფონდის მუშაობის შესახებ, შეფასების მიზანსა და თავად პროცესზე მენარმე ქალთა ფონდის ხელმძღვანელი მერი გელაშვილი გვიამბობს:

- პროექტი „ქალთა მენარმეობის განვითარება იმერეთის რეგიონში“ მიზნად ისახავს დევნილი და ადგილობრივი ქალბატონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათი დასაქმების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით ფონდმა მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა, მათ შორის მცირე ბიზნესის საფუძვლების შემსწავლელი ტრენინგ-სემინარები, კონკურსები საუკეთესო ბიზნეს-გეგმების გამოსავლენად. გამარჯვებულ ბიზნეს-პროექტების ავტორებს ეხმარება სამუშაო ადგილების შექმნაში. დაარსდა პროფესიული გადამზადების კურსები, ტარდება კონსულტაციები, მონიტორინგი, მრგვალი მაგიდები აქტუალურ საკითხებზე, სამოქალაქო ფორუმები. საინფორმაციო საქმიანობის კუთხით ეწყობა მენარმე ქალთა ფონდის მუშაობის ამსახველი გამოფენები, მზადდება ტელეგადაცემები, გამოდის ჟურნალი „ქალი და ბიზნესი“.

ივნისის ბოლოს ჩატარებულ თორმეტდღიანი მონიტორინგის მიზანი იყო 2009-2011 წლებში ფონდის მიერ პროექტის ფარგლებში განეული საქმიანობის შესწავლა. შეფასების დროს ყურადღება გამახვილდა პროექტის ეფექტურო-

ბაზე, მისი ზეგავლენის ხარისხზე, ეკონომიკურ ეფექტსა და მდგრადობაზე.

შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა ობიექტური რეკომენდაციები. პროექტის ეფექტურობის და ზემოქმედების გამოვლენის მიზნით გამოიყენეს ზეგავლენის

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების რაოდენობრივი მონაცემები, ჩატარდა ინტერვიუები და გასაუბრება ფონდის თანამშრომლებთან, პარტნიორი ორგანიზაციების და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

შემფასებლები შეხვდნენ პროექ-



მონაწილეობითი შეფასების მეთოდი, რომელსაც MAPP ეწოდება და ეყრდნობა ინტერაქტიურობის პრინციპს – აწარმოებს ბენეფიციარების ცხოვრების კრიტერიუმების და ზოგადი ტენდენციების ანალიზს, და განსაზღვრავს ზეგავლენის ხარისხს (მატრიცას). შეფასების პროცესში შეგროვდა

ტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილების მფლობელებს ქუთაისში, ხონსა და ფოთში. ასევე ჩატარდა ოთხი სესია ფონდის ბენეფიციარებთან იმის გამოსავლენად, თუ რა ცვლილებები მოხდა მათ ცხოვრებაში ფონდის ხელშეწყობით. ამ მიზნით ქუთაისში ის ქალბატონები მოინახულეს, რომლებ-



მაც მენარმე ქალთა ფონდის დახმარებით ააწყვეს მცირე საოჯახო ბიზნესი.

ფოტოში შეხვედრა გაიმართა შერეულ ჯგუფთან – გამარჯვებული ბიზნეს-გეგმების ავტორებთან და მათთანაც, ვინც ვერ დაიწყო ბიზნესი ტრენინგებში მონაწილეობის შემდეგ. ხონშიც ის სემინარგავილი ბენეფიციარები მოინახულეს, ვინც ჯერ ვერ დაკავდა სამენარმეო საქმიანობით.

მონიტორინგის ფარგლებში გაიმართა ორი ფოკუს-ჯგუფი პროფესიული გადამზადების კურსების მსმენელებთან, ბოლოს კი ჩატარდა ვორკშოპი ფონდის თანამშრომელთათვის შეფასების წინასწარი შედეგების და რეკომენდაციების განსახილველად. ვიზიტის ბოლო დღეს, 1 ივლისს, შემფასებლებმა წარმოადგინეს ერთობლივად შემუშავებული წინასწარი რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებების გათვალისწინებით:

- პროექტის საერთო რელევანტურობა;

- მიგნებები და რეკომენდაციები ფონდის საქმიანობის სფეროების განსაზღვრისათვის – ქალთა მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა,

პროფესიული კურსები და საზოგადოებასთან ურთიერთობა;

- ქმედითობა – ხარჯვითი ქმედითობა, დაგეგმარება, მონიტორინგი და შეფასება;

- საერთო ზეგავლენა;

- მდგრადობა.



წარმოდგენილი კრიტერიუმებით მენარმე ქალთა ფონდის სამწლიანი საქმიანობა დადებითად შეფასდა.

“ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა თქვენთან მუშაობა, საინტერესო იყო შეფასების პროცესი. ყველაზე დიდი გამოცდილება, რაც საქართველოდან გამომყვა, ქართველი ქალების უზღვავე ენერგია და

თქვენი ორგანიზაციის დაუღალავი მუშაობა მათ საკეთილდღეოდ”, – აღნიშნა უცხოელმა შემფასებელმა რალფ ლანგემ.

ემოციური იყო ქართული მხრიდან წინო თვალთვადის შეფასებაც: „მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობას ადრეც ვიცნობდი, მაგრამ ამ შეფასების პროცესმა მომცა შანსი, დამენახა, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეს ორგანიზაცია იმერეთის რეგიონში დევნილი საზოგადოებისთვის და არა მხოლოდ მათთვის”.

მზადდება შეფასების საბოლოო ანგარიში და, დასრულების შემდეგ, მენარმე ქალთა ფონდი გეგმავს, გააცნოს მიღებული რეკომენდაციები ბენეფიციარებს, რათა სამომავლოდ ნაყოფიერი თანამშრომლობის მიზნით ერთობლივად დაიგეგმოს მნიშვნელოვანი მიმართულებები.

მიმდინარე პროექტი 2011 წელს დასრულდება. მონიტორინგის შედეგები ერთგვარი სამოქმედო მაჩვენებლის როლს შეასრულებს ფონდის ახალი საპროექტო წინადადებების შემუშავებისას და განსაზღვრავს მის საქმიანობას პერსპექტივაში.

მირანდა გვანცელაძე

დროის გამოწვევას – თანადროული ინიციატივა

პროექტი „ადმინისტრაციული საქმისწარმოება და საქმიანი ეტიკეტის ნორმები“ მეწარმე ქალთა ფონდის მიერ ქალთა მხარდასაჭერად და მათი დასაქმების ხელშეწყობისთვის განხორციელებული კიდევ ერთი წარმატებული წამოწყებაა. იდეა დაიბადა ფონდის ხელმძღვანელის ისრაელში ვიზიტის დროს, იქაური ქალთა ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობის შედეგად.

საშუალო ასაკის უმუშევარ ქალბატონთა სასწავლო პროცესში ჩართვა შემდგომში მათი დასაქმების პერსპექტივით - ასეთია სკოლის მიზანი, რომელიც პილოტური პროექტის ფარგლებში დაარსდა ქუთაისში აპრილის თვეში.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული საქმისწარმოების, კომუნიკაციის, საბუღალტრო აღრიცხვის საკითხებს, უცხო ენას და კომპიუტერთან

პეზს, დამსაქმებელთან ურთიერთობის წარმართვის წესებს მათ პედაგოგი ნონა კამკია ასწავლიდათ, ინგლისურ ენას - გურანდა გვანცელაძე. ბუღალტერიის კურსი



მუშაობის უნარ-ჩვევებს რვა ქალბატონი დაეუფლა. მეწარმე ქალთა ფონდის მიერ სკოლაში სასწავლებლად შერჩეულები საშუალო ასაკის ქალბატონები არიან, რვავე უმაღლესი განათლებით, თუმცა უმუშევრები.

სწავლების პროცესში ზოგად განათლებასთან ერთად მსმენელებმა ბევრი პრაქტიკული რჩევა მიიღეს. საქმის წარმოების ტექნოლოგიას, CV-ის შედგენის პრინცი-

თამილა გვილავამ გააცნო, კომპიუტერთან მუშაობაში კი ნანა შაკაიამ გაარკვია.

სკოლის ხელმძღვანელის ლელა ჯალალონიას თქმით, კურსის მსმენელები დიდ მონდომებას და ინტერესს იჩენდნენ სწავლისადმი, თითოეული მოსწავლე-ქალბატონი ცდილობდა, მაქსიმალურად აეთვისებინა პროგრამა, რათა აქ მიღებული ცოდნის გამოყენებით უმთავრესი მიზნის განხორციელების –

სამსახურის პოვნის შესაძლებლობა მიეცეთ.

პროექტის მიხედვით სკოლაში სწავლება არა მხოლოდ დევნილმა, არამედ ადგილობრივმა ქალბატონებმაც გაიარეს. კურსდამთავრებულები საკმაოდ მოტივირებულნი არიან და კარგად აუღეს ალლო სწავლის პრინციპებს და პროგრამას.

ჟანა მაპარიძე 35 წლისაა. ბიოსამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა პეტრიწის უნივერსიტეტში და წლების მანძილზე ფარმაცევტად მუშაობდა აფთიაქში. დღესდღეობით უმუშევარია, უკვე აღარც კი ფიქრობს, რომ მაინცა და მაინც სპეციალობით დაკავდეს. საოფისე საქმიანობა და ბუღალტერია აინტერესებს. თვლის, რომ დასაქმების მეტი პერსპექტივა აქვს, რადგან მის განათლებას დაემატა ფონდების მიერ დაარსებულ სკოლაში მიღებული ცოდნა.

ნინო დარასელია (35 წლის) განათლებით ეკონომისტი. ეკონომიკის მასწავლებლად მუშაობდა პროფესიულ სასწავლებელში. კოლეჯად გადაკეთების შემდეგ სასწავლებელში სწავლება დონეებად დაიყო და მისი საგანი მესამე საფეხურზე ისწავლება. ამჟამად უმუშევარი დარჩა მესამეკურსელთა არყოლის გამო. ნინოს მთავარი საფიქრალი კვალიფიკაციის ამაღლება და დასაქმებაა. იცის, რომ დამქირავეებს ურჩევნია, აიყვანოს მრავალმხრივი სპეციალიზაციის თანამშრომელი და ამიტომაც ცდილობს, რამდენიმე საქმე შეისწავლოს, რათა იოლად იპოვოს სამსახური.

დარიჯან ხეცურიანი (36 წლის) ორი ვაჟყაცის დედაა. განათლებით ფილოლოგი, მცირე პერიო-

დი ინვალიდთა ასოციაციის მიერ დაარსებულ გაზეთ „ერისიონში“ მუშაობდა ჟურნალისტად. წლები საქართველოს გარეთ ცხოვრობდა. ადმინისტრირების სკოლაში სწავლამ მეტი ინტერესი გაუჩინა უცხო ენებისადმი, ინგლისურის ღრმად შესწავლის სურვილი აქვს მომავალში. მოსწონს საოფისე საქმიანობაც და იმედოვნებს ამ კუთხით სამსახურის მოძიებას. კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ სკოლაში კონკრეტული საგნების შესწავლის გარდა, ბევრი საჭირო და საინტერესო თემები განიხილეს. მისთვის ღირებულია ის კომუნიკაცია და ურთიერთობები, რომელიც ერთმანეთისადმი ჩამოუყალიბდათ თანაჯგუფელებს.

ირინე აბაშია (32 წლის) ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ბიოლოგიის მაგისტრი გახლავთ. სამი შვილის დედას არასდროს უმუშავია. დაოჯახებამდე ასპირანტურაზეც ოცნებობდა. დამატებითი სპეციალობების ათვისება მანაც დასაქმების სურვილის გამო მოინდომა. იმედი აქვს, რომ თავისი შესაძლებლობებით და სკოლაში მიღებული გამოცდილებით დამსაქმებელს თავს მოაწონებს.

შორანა ჟღერია (38 წლის) სკოლის გახსნის შესახებ შემთხვევით გაიგო და აქ სწავლა გადაწყვიტა. ის განათლებით ეკონომისტი და 11 წელი ბუღალტრად იმუშავა პურის ქარხანაში. შემდეგ შვილების აღზრდით იყო დაკავებული. გოგონები წამოიზარდნენ და შორენა კვლავ ფიქრობს სამსახურზე. მისი სკოლაში მოსვლის ძირითადი მიზანიც დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაა.

ნატალია გოცირიძე (33 წლის) მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი ჰყავს. ორი უმაღლესი განათლება აქვს მიღებული – საინჟინრო და იურიდი-

ული. სპეციალობებით არასდროს მუშაობდა, მეუღლესთან ერთად საოჯახო ბიზნესით - ფეხსაცმლის რეალიზაციით იყო დაკავებული. ამბობს, რომ ყოველთვის აინტერესებდა იმ სფეროების გაცნობა, რომელთა საფუძვლები ფონდის მიერ ჩამოყალიბებულ სკოლაში ისწავლება. მას მუშაობის დაწყების დიდი სურვილი აქვს, რათა ოჯახის შემოსავალს საკუთარი წვლილი შემატოს.

მარიკა ტვილდანი (37 წლის) ორი ქალიშვილის დედაა. განათლებით ეკოლოგს, სპეციალობით მასაც არ უმუშავია. სკოლაში დასაქმების მიზნით მოვიდა. აქ დამკვიდრებული სწავლების მეთოდი გამართლებულად მიაჩნია – კომპლექსში ისწავლება ყველა ის საგანი და

დაარსებულმა „ადმინისტრაციული საქმისწარმოების და საქმიანი ეტიკეტის ნორმები“-ს სკოლამ უცხოელი შემფასებლის ალფრთოვანება დაიმსახურა. რაღვ ლანგემ დადებითად მიიღო აქ დაწესებული სწავლების ფორმა. კმაყოფილი დარჩა იმ მომენტით, რომ მენარმე ქალთა ფონდმა თანადროულად აულო ალლო დროის გამოწვევას და საშუალო ასაკის ქალბატონების დასაქმების ხელშეწყობის საინტერესო ფორმის მიგნება მოახერხა მათი სასწავლო პროცესში ჩაბმის საშუალებით.

უცხოელი ექსპერტი თავადაც შეხვდა მსმენელებს და გასაუბრების საფუძველზე მათი მომზადების ხარისხი შეაფასა. რეკომენდაციის სახით, ფონდის ხელმძღვანელობას



უნარ-ჩვევა, რომელიც მოითხოვება დამსაქმებლის მხრიდან. აღნიშნავს, რომ მაქსიმალური ცოდნა მიიღო თითოეულ საგანში, რამაც მეტი თავდაჯერებულობა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობის განცდა შემატა. იზიდავს საოფისე ორგანიზაციასთან მუშაობა და ოფის-საქმიანობა და ამ კუთხით დასაქმების იმედს გამოთქვამს.

მენარმე ქალთა ფონდის მიერ

ურჩია, კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ გამოცდებზე დამსაქმებლები მოეწვიათ.

ოთხთვიანი სასწავლო პროცესი ფონდის მიერ ახლადდაარსებულ სკოლაში საგნობრივი გამოცდებით დასრულდა. კურსდამთავრებულებს რეკომენდაციები გაენიათ სამუშაოზე მოსაწყობად.

თინათინ ზაქარაშვილი

პირველი ტრენინგი სოციალური მეწარმეობის საკითხებზე

იმ ბიზნესების ხელშეწყობა, რომლებიც სოციალური მიზნების გადამწყვეტას ემსახურება, მეწარმე ქალთა ფონდის ძირითად მიმართულებად მიიჩნევა. ფონდი სხვადასხვა ფორმით ცდილობს, შეაძლებინოს დევნილ ქალბატონებს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად სოციალურ-ყოფითი დაბრკოლებების და პრობლემების გადალახვა. სპეციალური ცოდნის მიწოდებით უვითარებს მათ სამეწარმეო უნარ-ჩვევებს, რათა მოახერხებინოს საკუთარი ბიზნესის წამოწყება-წარმართვა პირადი ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად.

ივნისის ბოლოს კოპიტნარის დასახლებაში ფონდის ტრენერთა მიერ ჩატარებულ ოთხდღიან სწავლებაზე სოხუმიდან, ოჩამჩირიდან და გულრიფშიდან დევნილი 15 ქალბატონი სოციალური მეწარმეობის რაობას, დანიშნულებას და სპეციფიკას ეცნობოდა.

სოციალური მეწარმეობა ბიზნესის პრინციპებით მოქმედ საწარმოს წარმოადგენს პირველადი საზოგადოებრივი მიზნებით, რომლის მოგებაც ამ მიზნების მისაღწევად ისევ ხელახლა იდება ბიზნესში ან საზოგადოებაში. გარკვეული ბიზნეს-იდეის განვითარებით ხდება საკუთარი მოთხოვნილებებისთვის შესაძლებლობების მოძიება საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად.

წვრთნები პროექტის განხილვით დაიწყო და გუნდური მუშაობით გაგრძელდა – სპეციალური ანკეტების შევსებითა და სამოქმედო ნესების შემუშავებით.

სოციალური მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე, სამეწარმეო მოგების მიღება-რეინვესტირებაზე კვალიფიციური ინფორმაცია სემინარის მონაწილეებმა იურისტისაგან მიიღეს. განსაკუთრებული ყურადღებით გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებს ისმენდნენ.

თამარ ფაჩულიამ ქალბატონებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციები, საურავები, ჯარიმები და ის ძირითადი გადასახადები გააცნო, რომლებიც



უშუალოდ სოციალურ მეწარმეობას შეეხება. პოლემიკა გამოიწვია თემამ ქალთა ბიზნესის რაობის და მახასიათებლების შესახებ.

სოციალურ საწარმოში მენეჯმენტის ფუნქციების გამოყენების ფორმები ექსპერტმა ალუ გამახარიამ განიხილა. ყურადღება გამახვილდა მართვის იმ სახეობებზე, სიტუაციურ ანალიზსა და პროცესებზე, რომლებიც უშუალოდ სოციალურ მეწარმეობას უკავშირდება. საკითხზე მსჯელობისას მსმენელები დისკუსიაში ერთვებოდნენ. ტრენინგის მონაწილეებმა ბიზნეს-ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობების გამოსავლენად გამიზნული საქმიანი თამაშის დროს საკითხისადმი განსაკუთრებული დაინტერესება და აქტიურობა გამოიჩინეს.

პროდუქციის თვისებებზე, მათი ხარისხის და ბაზრის დარეგულირების პროცესებზე სემინარზე ნატრული ნაჭყებამ ისაუბრა. მსმენელებმა დაინტერესება გამოიჩინეს კონკრეტული პროდუქტის (მომსახურების), ბაზრის შესწავლა-





კვლევის საკითხებისადმი.

ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა ტრენინგის მონაწილეებს ხარჯთაღრიცხვის, თვითღირებულების და რენტაბელობის ზღვრის გათვლის საკითხებზე გულწარა ლაკერბაიმ.

სწავლებაზე გარკვეული დრო დაეთმო მინი-სოციალური საწარმოს სტრუქტურის გაცნობას, სოციალური იდეის გააზრებისა და მისი განხორციელების წინაპირობებზე მსჯელობას. სამ ჯგუფად გადანაწილებულმა მსმენელებმა ტრენინგ დიანა ყურაშვილთან ერთად სოციალური პროექტების განსახორციელებელი იდეები დაამუშავეს. თითოეულ ჯგუფში ლიდერი თანაგუნდელები გამოვლინდნენ – ლიკა ირემაძე, სოფიკო გამისონია, ლია მიქავა, ნინო ცქვიტიშვილი, მანანა ბარამია, ია ბენდელიანი, ია ახალაძე, ირა პირტახია და ია ახალაძე.

ტრენინგ-სემინარის ბოლო დღეს სოციალური მეწარმეობის მიმართულებით შედგენილი სამაგალითო პროექტების განხილვა მოეწყო. იდეის ზუსტი გადმოცემა, საინვესტიციო სახსრების სწორი ფინანსური დაანგარიშება, გამართული მარკეტინგი, სამიზნე ჯგუფის სწო-

რი სეგმენტაცია და ორიგინალური რეკლამა – ეს ის მოთხოვნებია, რომელთა დაკმაყოფილებას შეეცადნენ ტრენინგის მონაწილეები პროექტის ჩამოყალიბების დროს.

ოთხი საპრეზენტაციო პროექტიდან სამი წარადგინეს ერთნაირი სახელწოდებით „სხივი“, თუმცა სხვადასხვა სლოგანებით. სოციალური საწარმოს ერთ პროექტს „მადა“ უწოდეს.

ნამუშევრების შეჯამების შემდეგ ტრენინგგავლილებს სერთიფიკატები გადაეცათ.

საკონკურსოდ წარსადგენ სოციალურ პროექტებთან დაკავ-

შირებით მათ კონსულტაციებიც ჩაუტარდათ. დიდია ამ ადამიანთა სურვილი და მზაობა, კოპიტნარის სამხედრო დასახლებაში შეიქმნას სოციალური საწარმო. შედგენილია გეგმა, რომლის შემუშავებაში ტრენინგის თხუთმეტივე მსმენელი იყო ჩაერთული. გათვლილია ხარჯთაღრიცხვის ნუსხა და პროექტის საბოლოო ვარიანტი წარდგენილია კომისიის წინაშე.

საწარმოში რძის პროდუქტების – მანვნისა და ნადულის წარმოებას გეგმავენ. პროდუქციას შესაფერისი სლოგანიც მოუფიქრეს - „ჭრელას მანონი“, „ნადული „საამო“.

მეწარმე ქალთა ფონდის მიერ კოპიტნარში გამართულ ტრენინგს პროექტის უცხოელი შემფასებელი რაღფ ლანგე დაესწრო. მის კითხვაზე, თუ რამ განაპირობა მაინცა და მაინც სოციალური საწარმოს შექმნის იდეა სახელწოდებით „სხივი“, პროექტის ავტორმა სემინარის მონაწილე ქალბატონებმა უპასუხეს: „უნდა ვაშენოთ მომავალი სიღარიბის გარეშე, უნდა შევძლოთ მოგების კვლავ დაბანდება. სხივი კი ჩვენი ერთიანი გუნდის სიმბოლოა“.

ლიანა ყურაშვილი



კითხვა, როგორ დავიწყოთ ბიზნესი, ჩვენს დროში ბევრს აწუხებს. სწორედ ბიზნესის წარმოებით დაინტერესებულთათვის ტარდება სისტემატურად ბიზნესის საფუძვლების შემსწავლელი ტრენინგ-სემინარები მენარმე ქალთა ფონდის ინიციატივით.

წვრთნებში ნებისმიერი ასაკის არა მხოლოდ დევნილი, არამედ ადგილობრივი ქალბატონი იღებს მონაწილეობას.

„ასეთი მეცადინეობები საჭირო და სასარგებლოა“

მაისის ბოლოს ქუთაისში გამართულ ტრენინგს 15 ახალგაზრდა ქალბატონი ესწრებოდა. ადგილობრივი და დევნილი მანდილოსნებისგან შემდგარმა ინტეგრირებულმა ჯგუფმა მცირე ბიზნესის საფუძვლების თეორიული კურსი გაიარა და კონკრეტული პრაქტიკული დავალებებიც შეასრულა.



ლა. კომპეტენტურმა და გამოცდილმა ტრენერებმა მსმენელებს მიაწოდეს ინფორმაცია ბიზნესის არსსა და მისი განხორციელების მოტივებზე, საბანკო კრედიტის ძირითად სახეებსა და ფინანსურ მენეჯმენტზე, გააცნეს ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები, მართვის ფორმები. „ასეთი მეცადინეობები საჭირო და სასარგებლოა. მიუხედავად იმისა, რომ კერძო ბიზნესში რაღაც გამოცდილება მაქვს, ამ სემინარებზე ბევრი დეტალური ინფორმაცია მოგვანოდეს კონკრეტულ თემებზე, გაგვარკვიეს ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში, მივიღეთ გარკვეული ცოდნა მარკეტინგსა და მენეჯმენტზე“, - გაგვიზიარა შთაბეჭდილებები ტრენინგის შესახებ 27 წლის ხუთშვილიანმა ცირა მოდებაძემ. იმერლების რძალი, დევნილი ქალბატონი საკონდიტრო საქმით არის დაკავებული და საოჯახო ბიზნესის გაფართოებას გეგმავს მომავალში.

სემინარზე თეორიული საკითხები კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით განიხილებოდა, რაც საინტერესოს ხდიდა ჯგუფურ მუშაობას, ყოველი თემა კი პრაქტიკული დავალების შესრულებით მყარდებოდა.

„ამ ტრენინგებმა ზოგადად გვიჩვენა, რა არის ბიზნესი, როგორ რისკებთან არის ის დაკავშირებული და რა არის საჭირო საკუთარი საქმის წამოსაწყებად არსებულ ბიზნესგარემოში, და, რაც მთავარია, გვასწავლა ბიზნეს-გეგმების შედგენა,“ – აღნიშნა უნივერსიტეტის მეოთხეკურსელმა, ბაკალავრმა ქეთევან ყიფიანმა.

ოთხდღიანი სემინარის ბოლო შეხვედრა სამაგალითო ბიზნეს-გეგმების შემუშავებას და მათ განხილვას დაეთმო. რამდენიმე ჯგუფად დაყოფილმა მსმენელებმა ბიზნესის სფეროები გადაინანილეს, მინი ბიზნეს-პროექტები შეადგინეს და მათი პრეზენტაცია გააკეთეს.



ტრენინგის დასრულების შემდეგ ერთკვირიანი კონსულტაციების დროს კომისიას მონაწილეთა საკონკურსო პროექტები წარედგინა.

გამარჯვებულ ავტორებს მენარმე ქალთა ფონდი სამუშაო ადგილების მოწყობაში დაეხმარა.

„ამ ტრენინგებმა მასწავლა, როგორ უნდა ვაწარმოო საკუთარი საქმე“

პროექტის „ქალთა მენარმეობის ხელშეწყობა დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში მენარმე ქალთა ფონდმა სემინარები ზესტაფონშიც გამართა. კვალითის დასახლებაში მცხოვრებ 15 დევნილ ქალბატონს მცირე ბიზნესის განვითარების საკითხებზე ესაუბრნენ ექსპერტი ალუ გამახარია, პროექტის ასისტენტი დიანა ყურაშვილი, ტრენერები - ნატრული ნაჭყებია და გულნარა ლაკერბაია. იურისტი თამარ ფაჩულია ბიზნესის სამართლებრივ მხარეს შეეხო.

ტრენინგი 19 ივლისს პროექტის მოკლე მიმოხილვით და ერთგვარი მინიკონსტიტუციის შემუშავებით დაი-



ნყო, რომელიც ითვალისწინებდა დაგვიანებაზე უარს, ურთიერთპატივისცემას, მცირე ბიზნესში კარგად ორიენტირებას და შეძენილი ცოდნის რეალური არჩევანის გაკეთების დროს გამოყენებას. პირველ დღეს აქცენტები ქალის ლიდერულ თვისებებზე, ზოგადად ლიდერი ქალების და მცირე ბიზნესში დასაქმებული ქალბატონების შესაძლებლობებზე გაკეთდა.

მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბიზნეს გეგმების შემუშავება-შედგენის, პროექტის განხორციელების ორგანიზების და ფულის მიმოქცევის უწყისთან დაკავშირებულმა საკითხებმა.

თეორიული კურსი პრაქტიკული მეცადინეობით გაგრძელდა. ტრენინგის მონაწილეებმა წარმოადგინეს ბიზნეს-იდეები და ჩამოაყალიბეს მინი ბიზნეს-პროექტები. მათი განხორციელების პროცესის აღწერისას ქალბატონებმა ის მომენტებიც განიხილეს, რომლებთანაც შეხება რეალური ბიზნესის წარმოების დროს მოუწევთ.

საპრეზენტაციოდ ხუთი ჯგუფის მიერ მომზადებული ბიზნეს-გეგმები ვაჭრობის, მომსახურების და საოჯახო მეურნეობის სფეროებს შეეხებოდა.

სემინარის მეორე დღე მცირე ბიზნესის საფუძვლების გაცნობას დაეთმო. მსმენელებს განემარტათ დაგეგმარება-მართვის საკითხები და მიეცათ რჩევები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია დამწყები მენარმისათვის. ყურადღება გამახვილდა ბიზნესის დაშლის გამომწვევ შეცდომებზე და ბიზნეს იდეის მიზანშეწონილობის შეფასების კრიტერიუმებზე.

ტრენინგის მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება მენარმის შესაძლებლობების თვითშეფასებაზე. მსჯელობის დროს დისკუსია გაიმართა ქალთა ბიზნესის განმასხვავებელ თვისებებზე. საქმიანი თამაშის პროცესში ბიზნესის ორგანიზაციულ მართვაზე გამახვილდა ყურადღება.

ერთ-ერთმა მონაწილემ, 65 წლის ლელა კვენეტაძემ სემინარის თემატიკა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია: „ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე, მეგონა, ყველაფერი ვიცოდი, თუმცა ამ ტრენინგებმა ბევრი რამ მასწავლა ბიზნესის შესახებ და გამარკვია, როგორ უნდა დავიწყო და ვაწარმოო საკუთარი საქმე“.

მარკეტინგის საკითხების განხილვის დროს ყურადღება დაეთმო ბაზრის შესაძლებლობების გაცნობას და ბაზრის გამოკვლევის მაგალითებს. საუბარი იყო მარკეტინგის შეთავაზების ფორმებსა და ამოცანებზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ფინანსების მოზიდვის თემაზე. მსმენელები აქტიურად ბჭობდნენ საკუთარი ბიზნესის დასაფინანსებლად საჭირო ფულადი სახსრების წყაროებზე.

ხუთდღიანი ტრენინგი ზესტაფონში კონსულტაციით დასრულდა. სემინარის მუშაობაში მონაწილე ქალბატონებმა განსხვავებულ სფეროებზე გაწერილი ბიზნეს-გეგმები წარმოადგინეს.

საკონკურსოდ საკუთარი პროექტის გატანას 15 მსმენელიდან 10 აპირებს.

მირანდა გვანცელაძე

მენარმე ქალთა ფონდის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქალთა დასაქმების ხელშეწყობაა. ფონდის მიერ მცირე ბიზნესის განვითარების საკითხებზე ჩატარებული ყოველწლიანი სწავლება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს.

საუკეთესო ბიზნეს-პროექტების ავტორები მენარმე ქალთა ფონდის მხარდაჭერით საკუთარ საქმეს იწყებენ. დღეს რამდენიმე მათგანს გაგაცნობთ.

„მოფუსფუსე ფუტკრები“-ს ენერგიული დიასახლისი

დოდო ქარდავას საუკეთესო მოგონებები აფხაზეთს უკავშირდება.

ცხოვრების იდილია ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა დაარღვია...

ოჯახთან ერთად წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში გადმოვიდა დროებით საცხოვრებლად. „დროებით ცხოვრება“ კი თითქმის 20 წელია გრძელდება.

დოდო პროფესიით ეკონომისტი, თავისი სპეციალობით მუდამ ამყოფდა. ბუნებით აქტიური ქალბატონი ბრძანდება, სულ საქმეშია.

გვიშტიბში სოფლის მეურნეობით დაკავდა.

როდესაც მენარმე ქალთა ფონდის მიერ მოწყობილ ტრენინგს დაესწრო, ბევრი ფიქრი არ დასჭირდა, თუ რა ბიზნესი უნდა დაენერგო. ოჯახშიც მოითათბირეს და



გადაწყვიტეს, მეფუტკრეობისთვის მოეკიდათ ხელი. სოფლად კარგი გარემო არის ფუტკრის გამრავლებისთვის. მრავლად ხარობს აკაცია, ეკალი, სხვადასხვა ხილი, რაც ამ „ტკბილი“ ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა.

- მეფუტკრეობა ჩემთვის უცხო

საქმეა, ახლა ვსწავლობ ფუტკრის მოვლას. სასარგებლო რეკომენდაციები მივიღე იმათგან, ვისგანაც შემოიძინეს ფუტკრის ორი ოჯახი. საქმეს, მგონი, კარგად ჩავწვდი, თუმცა მაინც სულ ვკითხულობ სპეციალურ ლიტერატურას, ვეცნობი მწერების ცხოვრებას. ამ საქმის მცოდნე, ფონდის მიერ ვანში და ქუთაისში დაფინანსებული პროექტების ავტორებისგანაც ვღებულობ კონსულტაციებს, – ამბობს დამწყები მეფუტკრე.

დარწმუნებულია, რომ მეფუტკრეობაში აუცილებლად მიაღწევს წარმატებებს. არჩევანი უკვე გააკეთა და ამით ოჯახის ფინანსური მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. თავადაც ბევრად უფრო რეალიზებულად გრძნობს თავს.



„იმერლებს უყვართ აფხაზური აჯიკა“

ციცინო ბენდელიანი უცრემლოდ ვერ იხსენებს წარსულს. განვლილმა წლებმა მშობლიური კუთხის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ვერ გაუყუჩა. როგორც თავად ამბობს, დრო ამ შემთხვევაში უძლურია:

- 17 წლის ვიყავი, როდესაც გულრიფშის რაიონის სოფელ ამტყელში გავთხოვდი. იქ უბედნიერესი წლები გავატარე. სიყვარულით შექმნილ ოჯახში თავს ვეველებოდი ქალ-ვაჟს.

სოხუმის დაცემის შემდეგ მამაპაპური კერის დატოვება მოუწია. დღეს ქმარ-შვილთან ერთად ქუთაისში ცხოვრობს.

მენარმე ქალთა ფონდის ტრენინგების შესახებ თანაკუთხელებისგან გაიგო. გაიარა სწავლება და პირველმა წარმატებამაც არ დააყოვნა – მის მიერ საოჯახო მეურნეობის სფეროში გაკეთებული პროექტი „იმერულ-აფხაზური აჯიკა“ გამარჯვებულთა ნუსხაში აღმოჩნდა.

გასატარებელი ელექტროდანადგარი, ქვაბები, თასები, დანები მისი სამუშაო ადგილის აუცილებელი შემადგენელია. ის ბოსტნეულისგან სხვადასხვა სახის აჯიკას აკეთებს, ხშირად იმერულ საკმაზებსაც



ამზადებს.

პროდუქციას ბაზარში ასაღებს, ცდილობს ასიამოვნოს თითოეულ მყიდველს. ამბობს, რომ თავისი საქმიანობით კმაყოფილია, უკვე მუდმივი კლიენტებიც ჰყავს: „იმერლებს უყვართ აფხაზური აჯიკა მიუხედავად იმისა, რომ მწარეა“, - სიამაყით გვეუბნება ციციწო და აღნიშნავს, რომ საკუთარმა ბიზნესმა მეტი თავდაჯერებულობა შემატა მას, ოჯახს კი მატერიალური შემოსავალი გაუზარდა.

„ელეგანტი“ ელეგანტურ ნაქსოვებს გთავაზობთ



თავისუფალ დროს ყოველთვის ქსოვდა, ხან საკუთარი სიამოვნებისთვის, ხანაც ოჯახის წევრებისთვის. წლების შემდეგ ქსოვა-ღიზაინი მისი პროფესია გახდა.

დღეს ქეთის საქმიანობა საოჯახო ბიუჯეტს განსაზღვრავს და მისი ყოველდღიურობის ნაწილია.

მენარმე ქალთა ფონდის ხელშეწყობით ქსოვა ქეთი გვაძაბიასთვის გატაცებიდან ბიზნესად იქცა.

- მოდელებს თავადვე ვთავაზობ ჩემს კლიენტებს, თუმცა ხანდახან ისინიც ამატებენ საინტერესო დეტალებს, ერთობლივად კი ნაქსოვი მოდური, კომფორტული და ლამაზი გამოდის, გატაცებით გვიყვება ქეთიწო თავის საქმიანობაზე.

ფონდებმა ქეთი გვაძაბიას იაპონური წარმოების ნაქსოვი დაზგა შეუძინეს. ამ დანადგარის საშუალებით ის შეძლებს ხარისხიანი და მეტი რაოდენობის პროდუქციის შექმნას და გაიზარდება ქეთიწოს მიერ მოქსოვილის შეძენის მსურველთა რიცხვი.

ოჯახიც ეკონომიურად გაძლიერდება.

დიანა ყურაშვილი

„მენარმე ქალთა ფონდმა უდიდესი სტიმული მომცა“

პირველი „კაბა“ კატას შეუკერა, მაშინ მხოლოდ 4 წლის იყო. თურმე, დედა კარგა ხანს არ აძლევდა ნებას, დამჯდარიყო საკერავ მანქანასთან. არ უნდოდა, მკერავი გამოსულიყო. ებრალებოდა ამ საქმისთვის.

კერვა თავიდან მისთვისასაც მხოლოდ გატაცება იყო. დღეს მზია მუშკუდიანი პროფესიონალი მკერავია.

მზია ლესელიძედანაა. 19 წლის ასაკში მოუწია მშობლიური მხარის დატოვება ომის შედეგად. ტკივილით ამბობს, რომ ცხოვრების საუკეთესო პერიოდი აფხაზეთს უკავშირდება: „იქ სულ სხვა განცდა მქონდა, სრული ბედნიერების. მას შემდეგ ზღვაზეც არასდროს ვყოფილვარ... ჩვენთან ზღვა სხვანაირი იყო, ზღვის სურნელიც ...“

დღეს მზია მუშკუდიანი ოჯახთან ერთად წყალტუბოში ცხოვრობს, დევნილობაში მყოფ დედასთან სიახლოვეს. დიდ ტკივილს ატარებს და სანუკვარი ოცნება აქვს - იქნებ 21 წლის ასაკში დაკარგული ძმის ამბავი გაიკვეს. არ უნდა დედაც ისე წავიდეს ამ ქვეყნიდან, რომ რაიმე მაინც არ გაიგოს ვაჟის შესახებ.

მზია განათლებით აგრონომია, სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი დაამთავრა. პარალელურად სამკერვალო ტექნიკუმში სწავლობდა. აგრონომობა არასდროს უცდია, კერვა კი, როგორც თავად ამბობს, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. საოჯახო ბიზნესიც ამ მიმართულებით ააწყო მენარმე ქალთა ფონდის ხელშეწყობით და მხარდაჭერით.

ფონდში 2005 წელს ახლობელმა მოიყვანა. ენერგიულსა და მოტივირებულს, ყოველთვის სურდა კერვა და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. მენარმე ქალთა ფონდის მიერ ორგანიზებული ბიზნეს-ტრენინგის წარმატებით გაიარა და გაიმარჯვა კიდევ საკუთარი პროექტით, რომელიც მინი-სამკერვალოს შექმნას ითვალისწინებდა. „მენარმე ქალთა ფონდმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამიწია და უდიდესი სტიმული მომცა საკუთარი საქმის დასაწყებად, - მაღლიერებით იხსენებს მზია მუშკუდიანი, - მაქსიმალური ხელშეწყობა მივიღე ამ ორგანიზაციიდან. შემიძინეს „იაგუარის“ ფირმის საკერავი მანქანა და კერვისთვის საჭირო სხვა საშუალებები. მომიწევს სამუშაო ადგილი“.

მენარმე ქალთა ფონდთან ურთიერთობა ნაყოფიერი აღმოჩნდა მზიასთვის. წარმატებულია მისი ბიზნესი, მრავალი მაღლიერი მომხმარებელი იკერავს მასთან არა მხოლოდ ყოველდღიური მოხმარების სამოსს,



არამედ სამეფლისო და საზეიმო კოსტიუმებსაც.

სულ ახლახან მან კიდევ ერთი ბიზნეს-ოცნება აიხდინა - წყალტუბოში მინი-სამკერვალო სკოლა გახსნა. პროექტი ამჟამად ჩეხური ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ მიერ დაფინანსდა. კონსულტაციები ბიზნეს-გეგმის შედგენის საკითხებზე მზიამ მენარმე ქალთა ფონდში გაიარა და, როგორც აღნიშნავს, პროექტის პრიორიტეტები და მიმართულება ფონდის წარმომადგენლებთან ერთად განსაზღვრა.

9 თვეზე გათვლილი სასწავლო პროცესი სამკერვალო სკოლაში 1 ოქტომბრიდან დაიწყება. ჭრა-კერვის შესწავლა მზიას მიერ სპეციალურად შედგენილი პროგრამით მოხდება. თეორილი კურსი პრაქტიკული მეცადინეობებით გამყარდება. სკოლაში მიიღებიან როგორც დევნილი, ასევე ადგილობრივი ქალბატონები. წარჩინებით კურსდამთავრებულებს კი დასაქმების პერსპექტივა ექნებათ.

მზიამ გაგვანდო, რომ ყოველთვის უნდოდა, თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვებისთვის გაეზიარებინა. ეს შანსიც მიეცა. იმედი აქვს, პარალელურად თავისი ძირითადი საქმიანობის გაგრძელებასაც შეძლებს. „25 წელია ვკერავ და დღესაც სულ ახლის ძიებაში ვარ - ახალი დეტალის, ახალი ხაზის, ახალი სილუეტის. პროფესიონალი მკერავი ყოველდღიურობაში ყალიბდება. მას უნდა გააჩნდეს უდიდესი ნებისყოფა და იყოს მშვიდი და განონასწორებული“, - აღნიშნავს ის. კერვაში დედას აქტიურად ეხმარება 11 წლის პატარა მარიამი. თუმცა მზია არ არის აღფრთოვანებული შვილის გატაცებით.

ისტორია მეორდება.

თინათინ ზაქარაშვილი

ქალები მცირე ბიზნესში. მათი შესაძლებლობები, ხელშეწყობა

ქალთა მცირე ბიზნესის განვითარების და მენარმე ქალბატონების საქმიანობის პროპაგანდირება და მხარდაჭერა იყო ტელეგადაცემის მიზანი, რომელიც, ივნისში, ტელეკომპანია „მეგა-TV“-ის ეთერით გაშუქდა.

მენარმე ქალთა ფონდმა ტელედისკუსია თემაზე „ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის სტიმულირება“ გერმანიის არასამთავრობო ორგანიზაცია EED-ის ფინანსური მხარდაჭერით მოაწყო.

ერთსაათიანი სატელევიზიო გადაცემა მომზადდა იმ პროექტის ფარგლებში, რომელიც დასავლეთ საქართველოში მცხოვრები დევნილი ქალების მცირე ბიზნესში ჩართვას და მათი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. დისკუსიაში ფონდის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ წარმატებული მენარმე ქალბატონები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელი თამარ ფაჩულია და ბიზნეს-ტრენინგის მსმენელები.

გადაცემაში მიმოიხილეს ის პროექტები და საქმიანობა, რომელიც მენარმე ქალთა ფონდის მიერ ხორციელდება ქალთა ბიზნესში ჩართვის კუთხით. დასაქმების პრობლემა დღესდღეობით ნებისმიერი ასაკის ქალბატონს აწუხებს, მათ შორის უმაღლესდამთავრებულ ახალგაზრდა ქალებსაც და ყველა მათგანი ცდილობს საკუთარი საქმის დამოუკიდებლად წამოწყებას.

მენარმე ქალთა ფონდის ასისტენტმა დიანა ყურაშვილმა ისაუბრა ფონდის მიერ განხორციელებულ იმ პროექტებზე, რომელთა მიზანია მცირე ბიზნესში ჩართვის ხელშეწყობა და პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული საქმიანობის გამჭვირვალობაზე გააკეთა აქცენტი.

მაყურებელს განემარტა, თუ როგორ ხდება სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი პროექტების შერჩევა. მისი თქმით, მინი-პროექტების ავტორები თავადაც აფასე-

ბენ საკუთარი პროექტების ძლიერ და სუსტ მხარეებს და თვალს ადევნებენ, თუ რამდენად სამართლიანად ხდება გამარჯვებული პროექტების შერჩევა.

ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ბიზნეს-გარემოზე საიას ქუთაისის ფილიალის ხელმძღვანელმა თამარ ფაჩულიამ გაამახვილა ყურადღება. მაყურებელს შეახსენა, რომ კანონი, კონსტიტუციის თანახმად, ქალსა და მამაკაცს არ განასხვავებს და ბიზნესის წარმოება, მცირე იქნება ეს თუ მიკრო, ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მან განმარტა საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომელთა თანახმად მცირე ბიზნესი ზოგადად ბიზნესიდან გა-



მოიყო და აღარ იბეგრება. გამარტივებულია მიკრობიზნესის წარმომადგენლების ბუღალტრული აღრიცხვა.

ფონდის იურისტმა ამასთანავე აღნიშნა, რომ ლიბერალური ბიზნეს-საკანონმდებლო პოლიტიკა მენარმის გულახდილობას მოითხოვს და მაყურებელს აუხსნა, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში მას მოუწევს მკაცრი სანქცია-საურავების, ჯარიმების გადახდა.

მენარმე ქალთა ფონდის პროექტის განხორციელების მექანიზმებზე და იმაზე, თუ რამდენად ჩაერთვნენ ქალები ბიზნესში, ისაუბრა ფონდის კოორდინატორმა მირანდა გვანცელაძემ. მისი თქმით, მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმის შეფასება, თუ რა ზეგავლენა მოახდინა პროექტმა მასში მონაწილე ბენეფიციარებზე. ხაზი

გაესვა იმ ფაქტს, რომ ფონდელთათვის მნიშვნელოვანია დევნილი საზოგადოების ინტეგრირება ადგილობრივ საზოგადოებაში. ამიტომაც პროექტი ვრცელდება როგორც დევნილ, ასევე ადგილობრივ ქალბატონებზე.

აღინიშნა ისიც, რომ ფონდის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას ანიჭებენ ახალგაზრდებთან მუშაობას და მათ განვითარებას. ამ მიზნით მენარმე ქალთა ფონდში ჩამოყალიბდა პროფესიული გადამზადების უფასო კურსები. „უმუშევრობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია ჩვენს ქვეყანაში. თუ ამ კურსებით შევძლებთ, დავეხმაროთ ქალებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება“, - იმედი გამოთქვა მენარმე ქალთა ფონდის კოორდინატორმა.

ქალების გადამზადების კუთხით განუვლ საქმიანობაზე ისაუბრა საბუღალტრო აღრიცხვის კურსის პედაგოგმა თამილა გვილაძემ. მან ტელემაყურებელს მოუთხრო იმ შედეგებზე, რომლებიც ბუღალტერიის სწავლების კუთხით იქნა მიღწეული. განსაკუთრებულ მომენტად ის მიიჩნია, რომ ბევრი კურსდამთავრებული უკვე დასაქმდა.

პედაგოგმა ნონა კამკიამ ადმინისტრაციული სამსახურებისა და კორპორაციული ეტიკეტის ნორმების ცოდნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, თუ როგორ დაეხმარება ამ საკითხებში გარკვევა ქალბატონებს თვითშეფასების ამაღლებაში, დამსაქმებელთან საკუთარი თავის პრეზენტაციის, ახალი პროექტების შექმნის და წარდგენის დროს.

ბიზნეს-ტრენინგების ერთ-ერთმა მონაწილემ, ვიკა ზუმბაძემ ისაუბრა სწავლებაზე, მიღებულ ცოდნასა და იმ გამოცდილებაზე, რომელიც მას პირველმა წარუმატებელმა ცდამ შესძინა: „ჩემმა მინი-პროექტმა ვერ გაიმარჯვა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ვცდილობ, დასახული მიზნის მისაღწევად მაქსიმალური გავაკეთო. მენარმე ქალთა ფონდში ვიღებ საჭირო კონსულტაციებს, რაც აუცილებლად დამეხმარება ჩემს საქმიანობაში“.

აფხაზეთელმა, პროფესიით ფეიქარმა ქეთინო გვაძაბიამ, ტელემაყურებლებს გაუზიარა საკუთარი ინდუსტრიის საქმიანობის გამოცდილება. გაიხსენა, თუ როგორ დაიწყო და რას მიაღწია საოჯახო ბიზნესში: “ მაქვს საფეიქრო მინი-საწარმო. შევძელი ჩემი ხელსაწყო განახლება, უკეთესი ხარისხის სამოსის შექმნა, ” - სიამაყით განაცხადა მან.

ტელემაყურებელი ფონდის საინფორმაციო სექტორის

საქმიანობასაც გაეცნო. ითქვა, თუ რა ტელეგადაცემები, ტელესიუჟეტები და დოკუმენტური ფილმები მზადდება მენარმე ქალთა ფონდის მიერ და როგორ ზემოქმედებას ახდენს ეს ტელეპროდუქცია მაყურებელთა ცნობიერებაზე. წარმატებული ბიზნეს-ქალბატონების მაგალითებით სხვებსაც ეძლევათ სტიმული და მოტივაცია, აქტიურად ჩაერთონ მცირე ბიზნესში.

„საზოგადოებასთან ურთიერთობა მენარმე ქალთა ფონდისთვის არის კომუნიკაცია ყველა მიმართულებით: ინფორმაციის გაცემა, მიღება, ურთიერთობა დონორებთან, ბენეფიციარებთან, - აღნიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორის ასისტენტი ემა კამკიამ, - ის დამოკიდებულია ქალბატონებისა, რომლებსაც წლების მანძილზე აქვთ შეხება მენარმე ქალთა ფონდთან, არის დასტური იმისა, რომ ეს ნდობაზე, ურთიერთპატივისცემაზე, ურთიერთმხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობაა“.

საუბარში გამოიკვეთა მენარმე ქალთა ფონდის ზრუნვა ბენეფიციარებზე. როგორც ითქვა, მიმდინარე განსახლების პროცესში ადამიანები მოგრატიის ახალ რეჟიმში ხვდებიან და რთულად განიცდიან შეჩვეული გარემოს გამოცვლას. ამიტომაც ფონდი ცდილობს, სწორად განსაზღვროს, თუ სად შეიძლება, გახდეს უფრო სერიოზული დასაყრდენი ბენეფიციარებისთვის. „ამ დინამიურ და ყოველდღიურ ცოცხალ პროცესში ჩართულია ფონდის ყველა თანამშრომელი, ” - მიუთითა ემა კამკიამ.

დისკუსიის დროს გაიკვია, რომ, როგორც დამწყები, ისე ინდივიდუალური მენარმეები ხშირად მიმართავენ იურისტს შეკითხვებით სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის სფეროებთან, საკონტროლო სალარო აპარატებთან დაკავშირებით. გადაცემაში აღინიშნა ისიც, რომ მენარმე ქალთა ფონდის საქმიანობა შეფასების პროცესში იყო და შემფასებლის შედეგები ფონდელთათვის სახელმძღვანელო კრიტერიუმი იქნება. „გეგმები ბევრი გვაქვს, მთავარი ერთად დგომა და პოზიტიური კომუნიკაციაა“, - დაასკვნა პროექტის კოორდინატორმა.

ტელედისკუსიის ბოლოს მცირე ბიზნესში ჩართვის მსურველ ტელემაყურებელს მიენოდა საქმიანი რეკომენდაციები და ხაზი გაესვა ბენეფიციართა მხრიდან მეტი აქტიურობის გამოვლენის აუცილებლობას, რაც შემდგომში ასახვას ჰპოვებს ფონდის საქმიანობაში.

ნანა ჯიქია



1. ვარ ინდემნარმე - მაქვს მალაზია. მაინტერესებს, სავალდებულოა თუ არა, მქონდეს ბეჭედი?

განგიმარტავთ, რომ საქართველოს კანონის „მენარმეთა შესახებ“ მე-5 მუხლის თანახმად, სანარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო სანარმოს ბეჭედის ქონა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ, მოთხოვნილი იქნას სანარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

2. მაინტერესებს, საკონტროლო სალარო აპარატის გამოუყენებლობისათვის რა სანქცია დაგვეკისრება?

განგიმარტავთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად, საკონტროლო სალარო აპარატის გამოუყენებლობისათვის გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის (გარდა განმეორებით ჩადენილისა) ფულადი ჯარიმის ნაცვლად შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს გაფრთხილება ან საგადასახადო კანონმდებლობის სწავლება.

3. მინდა სამენარმეო საქმიანობის დაწყება. მაინტერესებს, რას ნიშნავს პირველადი საგადასახადო დოკუმენტი?

განგიმარტავთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად პირველადი საგადასახადო დოკუმენტი

არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/განეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე გამონერულ პირველად საგადასახადო დოკუმენტში საქონლის ღირებულების (მათ შორის, საქონლის ერთეულის ფასის) მითითება სავალდებულო არ არის.

პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც რჩება სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეებთან.

პირი ვალდებულია პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს იმ კალენდარული წლის დამთავრებიდან, რომელსაც იგი მიეკუთვნება, არანაკლებ 6 წლის განმავლობაში.

4. მაინტერესებს, ერიცხება თუ არა საგადასახადო სანქციას საურავი, რომელიც იანგარიშება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, და თუ ერიცხება, რა თანხას შეადგენს საურავი?

განგიმარტავთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.

საგადასახადო სანქცია გამოიყენება გაფრთხილების, საგადასახადო კანონმდებლობის სწავლების, საურავის, ფულადი ჯარიმის, საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვის, სამართალდარღვევის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად კი საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.

თამარ შაჩულია

On 27 May another workshop was conducted at the Fund of the Women Entrepreneurs. During the meeting directions of the future project and new strategy of the organization and its mission were identified and activities for 2012-2014 defined.

